ანგარიში № 011/11/18
თარიღი 22.11.2018

ქ.თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება, II ზონა, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ, (საკ.კოდი. № 01.10.18.006.180)

ვამტკიცებ დირექტორი _____

დ.ჯიჯეიშვილი

A-EXPERT

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

ქ.თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება, II ზონა, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ (საკ.კოდი. № 01.10.18.006.180), ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის (არქიტექტურული ნაწილი) შესაბამისობაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის _ „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

თბილისი
2018 წელი

შემადგენლობა

1.დამკვეთი 3

2.შემსრულებელი ინსპექტორი/ები 3

3.კვლევაში გამოყენებული მასალები 4

4.პროექტის აღწერილობა. 4

5.კვლევითი ნაწილი 6

5.გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 12

6.დასკვნა 13

დამკვეთი: საიდენტიფიკაციო კოდი: მისამართი: დამკვეთის წარმომადგენელი:	შპს „მმბ“ 404508724 ქ. თბილისი პ.ქავთარაძის ქ. 1 შეს. №8, ბლოკი „ბ“, ოფისი №1 დირექტორი: ბადრი ჩანჩიბაძე
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:	განაცხადი № 009/11/18 ხელშეკრულება № 009/11/18
ინსპექტირების სფერო:	სამშენებლო ობიექტის პროექტის ინსპექტირება(არქიტექტურული ნაწილი)

შემსრულებელი ინსპექტორი/ების:

1	ნუგზარ კაციტაძე	არქიტექტორი
2		

გაფრთხილება

განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-2 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ინსპექტირების კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

_____ნუგზარ კაციტაძე

პროექტის დასახელება	ქ.თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება, II ზონა, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ, (საკ.კოდი. № 01.10.18.006.180) ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტი
პროექტის არქიტექტორი	გიორგი კაჭარავა

წარმოდგენილი დოკუმენტები:

-ინსპექტირების ჩასატარებლად შემსრულებლის მიერ გადმოცემულია საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1.განმარტებითი ბარათი.
2.სიტუაციური გენგეგმა.
3.მიწის ნაკვეთის ტოპო-გეგმაზე დატანილ მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა).
4.შენობა ნაგებობის განთავსება.
5.გეგმები, ჭრილები, ფასადები.
6.დეტალების ფრაგმენტების ნახაზები.
7.შენობის ვიზუალიზაცია.

შენიშვნა:

მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და და იძლევა საშუალებას ექსპერტიზის ჩასატარებლად.

პროექტის აღწერილობა

1.დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს შეადგენს ქ.თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 04.10.2018 წელს გაცემული ბრძანება პროექტის ზონალური შეთანხმების შესახებ. პროექტის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

2.მიწის ნაკვეთის მდებარეობა.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართია 1654,0 მ^2, მდებარეობს დასახლება ვაშლიჯვარში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ. საკ./კ. 01.10.18.006.180. ტერიტორიის რელიეფი რთულია, მოქცეულია ორ გზას შორის ნახევარკუნძულის სახით, ზედა და ქვედა გზებს შორის ნიშნულების სხვაობა 12,0 მეტრია, საპროექტო ნაგებობის განთავსება ხდება განაშენიანების რეგულირების წითელი და ლურჯი ხაზების დაცვით.

3.პროექტის აღწერა.

საპროექტო შენობა განთავსებულია რთულ რელიეფზე. შენობა 14 სართულიანია, მისი 3 სართული განთავსებულია ნახევრად მიწაში. მასთთან მისადგომი არის ქვედა მთავარი ქუჩიდან. ამ სართულებზე განთავსებულია კომერციული ფართები და ავტოსადგომები. ზედა მიწის დონიდან მისადგომი არის შენობის მე-4 სართულთან (±0.00).

შენობის ±0.00 სართულზე განთავსებულია აგრეთვე ავტოსადგომები +3,0-დან +28,20 ნიშნულზე განთავსებულია საცხოვრებელი ბინები (9 სართული).

4.პროექტის კონსტრუქციული აღწერა.

შენობის სტრუქტურული სისტემა ძირითადად გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. მონოლითური ფილებითაა მოწყობილი მისი ყველა სართულშუა გადახურვები. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკები.

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის №41 დადგენილების მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1.დაკავებულობების დატვირთვების შეფასებას.
2.კონსტრუქციის ტიპის შეფასებას.
3.სიმაღლისა და ფართობის შეფასებას.
4.გასასვლელებისა და გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას.
5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტანუნარიანობის შეფასებას.
6.მისაწვდომობის შეფასებას.
7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას.
8.სახურავის ანაწყობების შეფასებას.
9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასებას.
10.ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას.
11.წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას.

12.ლიფტების შეფასებას.
13.ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.
14.ხანძრის მართვის ცენტრის შეფასებას.

გამოკვლევა

1.დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შფასება:

საპროექტო ობიექტისთვის განსაზღვრულია შემდეგი დაკავებულობები:

-სწ-2 (311.3) მცირე სიფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი,რომელიც მოიცავს „ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების“ დაკავებულობა განთავსებულია 2 დონეზე

2 დამოუკიდებელი შესასვლელ-გამოსასვლელით (-3,0 და ±0.00) „წესების“ მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციებტი (18,6 მთლიანი).

-დს (312.1) დამხმარე სათავსო. წესების მიხედვით „ავზებს“. ამ დაკავებულობაში მხედველობაშია ავტოსაშხეფი სისტემის ავზი. ეს დაკავებულობა განლაგებულია - 3.0 ნიშნულზე. „წესების“ მიხედვით 1004.1.2 ქვეთავის მიხედვით ამ დაკავებულობისათვის სწორადაა შერჩეული დატვირთვის კოეფიციენტი (27.9 მთლიანი).

-სქ (304.1) საქმიანი ჯგუფი, მოიცავს კომერციული დანიშნულების სათავსებს, რომლებიც განთავსებული არიან -6.60 და -11.30 ნიშნულებზე. „წესების„ მიხედვით არის.

-სც-2 (303.40 საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც „წესების“ მიხედვით მოიცავს „მრავალბინიან სახლებს“. ეს ბინები განლაგებულია +3.0-დან 28.20 ნიშნულებზე. „წესების“ ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობების დაცვისთვის კოეფიციენტი 918.5 მთლიანი).

-გზა კიბეების შემომზღუდავები დაპროექტებულია „წესების“ 707 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 სთ-ზე მეტია.

-შენობიდან გამოსასვლელები „წესების“ 1027 ქვეთავის მიხედვით არის, მდებარეობს -11.30 ნიშნულზე და გადის შენობის გარეთ საზოგადოებრივ გზაზე.

2.კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპად განისაზღვრა I- A ტიპის კონსტრუქციად, რომელიც განისაზღვრა მისი დაკავებულობის, სიმაღლისა და სირთულეების ფართობების მიხედვით და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის იხ. 601 ცხრილში).

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

-კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სც-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე.

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	13
ფართი	შეუზღუდავი	3808.3 მ^2
სიმაღლე	შეუზღუდავი	39.5 მ.

-კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე, 503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე:

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	18,0 მ.
სიმაღლე	შეუზღუდავი	3,0 მ.

-კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (დს დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართი.

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	12,5 მ.
სიმაღლე	შეუზღუდავი	3,0 მ.

-კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სქ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართი.

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	2
ფართი	შეუზღუდავი	1017, 4მ^2
სიმაღლე	შეუზღუდავი	8,3 მ.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

-წარმოდგენილი პროექტის ანალიზი განხორციელდა ჩამოთვლილი ელემენტები თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:
-შენობის, - 11.30 ნიშნულზე განთავსებულ კომერციულ ფართებს აქვს პირდაპირი გასასვლელი ქუჩაზე, რაც აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

-შენობის, - 6.6 ნიშნულზე განთავსებულ კომერციულ სათავსოებს აქვთ კავშირი ორ შიდა გასასვლელი გზა-კიბესთან (წესების 1021.2 ქვეთავის მიხედვით0.

-საცხოვრებელი სახლის - 3,0 ნიშნულზე განთავსებულ ავტოსადგომებს აქვს 2 შიდა გასასვლელი გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს „წესების“ 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, აგრეთვე „წესების„ 1015.2.1 ქვეტავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი.

-შენობის ±0.0 ნიშნულზე განთავსებულ ავტოსადგომებს, აგრეთვე დაპროექტებული აქვთ 2 გასასვლელი გზა-კიბე (2012.2 „წესების“ მიხედვით), რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დაცულია აგრეთვე კიბეებს შორის მანძილი.

-შენობის +3.0 მეტრიდან +28.20 ნიშნულებზე განთავსებულ საცხოვრებელ ბინებს აქვთ 2 გასასვლელი გზა-კიბე („წესების„ 1021.2 ქვეთავის მიხედვით), რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

-წესების 1009 და 1022 ქვეთავების მიხედვიტ დაპროექტებულია გზა-კიბეები.

-გზა-კიბეების, შორის მანძილი დაცულია, დაცულია აგრეთვე გზა-კიბის კარის მუშაობის პრინციპი და ყველა სხვა კომპონენტები, რომელიც განსაზღვრულია „წესების“ 403,5 ქვეთავის მიხედვით.

5.გზა-კობეების და სხვა გასასვლელების გამტანუნარიანობვის შეგასება

-შენობაში დაპროექტებულია 2 გასასვლელი გზა-კიბე, რომელთაგან ერთ-ერთი კიბე ადის სახურავის ნიშნულზე. კიბეების სიგანეები არის 1.10 მეტრზე მეტი, რაც

A-EXPERT 405194249

აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავსების მოთხოვნებს. კიბეების სავალი ნაწილის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირი „წესების“ 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია მოაჯირი „წესების„ 1012 ქვეთავსების მიხედვით.

-სწორად არის დაპროექტებული საფეხურის შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფიოლებს წესების 1009, 7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები დაპროექტებულია „წესების“ 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებით.

-სწორად არის დაგეგმარებული დერეფნების სიგანეები და სხვა გასასვლელი საშაულებები, რაც შეესაბამება „წესების“ 1018.2 და 1005.3.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება

-საცხოვრებელ სახლში მოხვედრა ხდება 2 დონიდან ±0.0 და -11.30 დონეებიდან, საიდანაც შშმ პირებს შეუძლიათ ლიფტის საშუალებიტ მოხვდნენ შენობის ყველა სართულის დონეზე.

-სწორადაა დაგეგმარებული მისაწვდომი სვლაგეზე. ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილი არის მისაწვდომი.

-ვინაიდან შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტო საშხეფი სისტემებით, ამიტომ არ არის აუცილებელი მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს ემსახურებოდეს თავშესაფრის ფართობები. ძირითადი დაკავებულობა არის სც-2, რაც შეესაბამება 1007.3 პუნქტის მე-2.6 და 1007.4 მე-2 გამონაკლისებს.

-შენობა აკმაყოფილებს „წესების“ მე-11თავის მოთხოვნებს.

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

-შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, ტიხრები შიდა იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი.

-გარე კედლების ღიობის მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი განსაზღვრულია 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

-ფასადების ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს „წესების“ 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

-პროექტს ახლავს საფასადე კედლის ფრაგმენტალური ნახაზი, საიდანაც ირკვევა, რომ კედლის მასალად გამოყენებულია 30 სმ-იანი ბეტონის ბლოკის წყობა დეკორატიული ლესვით და ღებვით.

-დაცულია 705.8.5 ქვეტავის მოთხოვნები, მომიჯნავე სამართლების ღიობების ერთმანეთთან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში.

8.სახურავის ანაწყობების შეფასება

-შენობის სახურავის კონსტრუქცია და სხვა ნაწილები განსაზღვრულია „წესების“ 601 ცხრილის მიხედვით. ნაგებობის კონსტრუქციის I-A ტიპიდან გამომდინარე, საჭიროებს სახურავის 1,5 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. საპროექტო შენობის სახურავი წარმოადგენს რკინაბეტონის ფილას, რომელსაც 2-საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი გააჩნია.

-სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არაწვადი 2 საიზოლაციო ფენილი, ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი „წესების“ მე-15თავის მოტხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს.

-სახურავის ზემოთ მდებარეობს ლიფტის სამანქანე ნაგებობა, რომელსაც უკავშირდება შიდა კიბე და აკმაყოფილებს „წესების“ 1509 ქვეთავის მოთხოვნებს.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება

-საცხოვრებელი სახლის ნაგებობა შერეული ტიპის დაკავებულობისაა. მისი ყველა დაკავებულობა, ყველა სართული და ყველა საცხოვრებელი ერთეული ერთმანეთისაგან იმიჯნება 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავებით ბეტონის გადახურვის ფილებით და ბეტონის კედლებით, რაც აკმაყოფილებს „წესების“ 508.4 ცხრილს.

10.ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

-შენობა ნაგებობა 903.2.8 ქვეთავის მოთხოვნების საფუძველზე მთლიანადაა აღჭურვილი „წესების„ 903.3.1.3 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემით.

-შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები „წესების“ 906.1 ქვეთავის მიხედვით და განაწილებულია 906.391) ცხრილის მიხედვით.

-კიბის შემოზღუდულ სივრცეში „წესების“ 905.1 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია სახანძრო მილდგარები, რომელიც უნდა დაყენდეს NFPA-ის მოთხოვნების შესაბამისად.

-„წესების“ 907.2.0 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სც-2 დაკავებულობები, დერეფნებში დაყენებულია.

-„წესების“ 907.2.9.1 ქვეთავის შესაბამისად ხელით სამართავი საგანგაშო სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინებას 907.5 ქვეთავის შესაბამისად.

-„წესების“ 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად UL- 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1, 907.2.11.4 ქვეთავების და NPA 72-ის მიხედვით.

11.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

-წყალსადენი სისტემის დაფიქსირებული რაოდენობა შეესაბამება „წესების“ ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

-საცხოვრებელ სართულებზე ყველა ბინაში მოწყობილია საჭირო რაოდენობის სველი წერტილები „წესების“ 1602.1 ცხრილით.

12.ლიფტების შეფასება

-შენობას გააჩნია 2 ლიფტი, მ,ცირე და დიდი ტვირთამწეობის.

-713.14.1 ქვეთავის (გამონაკლისი 6-ის) მიხედვით ლიფტის შახტაში დაყენებულია 909.2.1 ქვეთავის შესაბამისი დაწნევის სისტემა.

-„წესების“ 403.6.1 ქვეთავის მიხედვით დაპროექტებულია 1 ლიფტი (1600 კგ-ზე), რომელიც განსაზღვრულია სამაშველო დანაყოფის მისაწვდომად და დაკავშირებულია შენობის ყველა სართულთან.

-ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს 1702.4 პუნქტის მოთხოვნებს და შესაძლებელია მასში 2.15მ0,6 ზომის საკაცის შეტანა.

-ლიფტები არის მისაწვდომი.

-ლიფტები უნდა მოეწყოს 1707 ვქეთავის შესაბამისად.

13.ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება.

-ავტომობილებისათვის განკუთვნილი ადგილების ზომები არის 2,5მ5,5მ. რაც აკმაყოფილებს 406.0.3-ის და 406.9. 3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

-დაკმაყოფილებულია აგრეთვე გასასვლელების მიმართ მოთხოვნები ავტომობილის ზომებისა და განლაგების გათვალისწინებიტ, რაც შეესაბამება 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

14.ხანძრის მართვის ცენტრის შეფასება.

-შენობაში „წესების“ 911 ქვეთავის მიხედვით დაპროექტებულია ხანძრის მართვის ცენტრი (-3,0მ.).

-ოთახის ზომა მოცემულია „წესების“ 911.1.3 ქვეთავის მიხედვით.

-სათავსო გამიჯნულია სხვა სივრციდან 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ბეტონის კედლით, რაც აკმაყოფილებს „წესების“ 911.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1.“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“(საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57).

2.ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41);

3.BREC-IB-PR-05: ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

დასკვნა

ქ.თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება, II ზონა, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ, (საკ.კოდი. № 01.10.18.006.180) მდებარე ნაკვეთზე დაპროექტებული მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ისნპექტირების ჩატარების პერიოდი:

დაწყების თარიღი:06.11.2018

დამთავრების თარიღი:22.11.2018

ექსპერტი, ტექნიკური მენეჯერი _____ ნუგზარ კაციტაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0235

ადასტურებს, რომ

შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“-ს ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა 6/8 ბ.66;

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; სამშენებლო ობიექტის (შენობების და ნაგებობების) პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: არქიტექტურული ნაწილი; კონსტრუქციული ნაწილი; (იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
20 ივლისი 2018 წ.

ძალაშია
20 ივლისი 2022 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“. სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938